საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 53
მარტის 7, პარასკევი 1903 წ.
1877

ივერია

№ 53
მარტის 7, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

შაბათს, 8 მარტს,

უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის ნიკოლოზ დავითის ძის

ორმოცზედ მარტვილის მონასტერში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.
(2—6—2)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 **მან.**
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შეინახავს საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108.
(120—6.—94).

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ადგილობრივი



ჭიდაობა

პარასკევს, 7 მარტს

ორი საინტერესო ადგილობრივი ჭიდაობაა ცნობილ მოჭიდავეთა 1-ლი **თედო ავალიშვილისა** (იგივე ლილოელი) **ილია რუსიშვილთან** და 2-რე **გიორგი ლეჟავასი გიორგი ხოდურთან.** მოჭიდავეთა ჯილდო 50 მანეთია, რომელიც დასძლევს. ჭიდაობა შესდგება მეორე განყოფილებაში 11 საათზე; დასასრულ სასაცილო პანტომიმა.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

ქართულ გალობის მოყვარულთა გუნდი, პ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით, გაჰმართავს თავის

კონცერტს

„საარტისტო საზოგადოების“ დარბაზში არა 7 მარტს, როგორც იყო ამას წინად მოხსენებული გაზეთებში, არამედ 22 მარტს.
(2—46—2)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ამით აცნობებს ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთ, რომ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია 15 მარტს, დილის 10 საათზედ, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში; ამიტომ სთხოვს ბ.ბ. თავად-აზნაურთ, საბუთები იმისა რომ უფლება აქვთ თავად-აზნაურთა საქმეებსა და არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, გაუგზავმონ მას 15 მარტამდე, სიის შესადგენად. ამასთანავე აცნობებს, 10 ივნისს 1902 წ. უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის მე-5 მუხლის ძალით, შედგენილი თავად აზნაურთა სია, მაზრის თავად-აზნაურთაგან განხილვის შემდეგ, დაბეჭდილ იქმნება.
(3—6—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი

✦ კვირას, 9 მარტს, კრება ექმნებათ ტფილისის გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, დეპუტატებსა და თავად-აზნაურთ. კრებამ უნდა მოილაპარაკოს კახეთის რკინის გზის მიმართულების შესახებ. კრება მოხდება სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, დილის 11 საათზე.

✦ ჩვენდა სამწუხაროდ, „ივერიის“ გუშინდელს ნომერში დაიბეჭდა ახალ ამბად მცირე შენიშვნა ქართულის სათეატრო დასის ორ ბანაკად გაყოფის შესახებ. ამ შენიშვნაში რამდენიმე შეცდომაა: ჩვენი სათეატრო დასი ორ ბანაკად არ გაყოფილა და ამ ჟამად აღარც დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ხელშია. თუ ზოგიერთმა არტისტებმა ცალკე წარმოდგენა გაჰმართეს საქველ-მოქმედო აზრით, გუშინ-წინ, 5 მარტს, ეგ კიდევ არც ორ ბანაკად განყოფას მოასწავებს დასისას და არც საბუთს აძლევს ვისმე, დააბრალოს ამ წარმოდგენის მონაწილეთ რაიმე ბოროტი განზრახვა და საზოგადო საქმის წინააღმდეგი სურვილი.

✦ პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, რომ ტფილისის ებრაელთა დეპუტაციას თავისი მინდობილობა უკვე აღუსრულებია და ტფილისში ბრუნდება. ის ებრაელები, რომელნიც, ადმინისტრაციის ბრძანებით, ტფილისიდგან უნდა გადასახლებულიყვნენ, დატოვებულ იქმნენ ტფილისში სექტემბრამდე; მანამდის ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება.

✦ შარშან ამიერ-კავკასიის რკინის გზას შემოსვლია სულ 28,334,265 მანეთი, წინა წელზე 417,400 მანეთით მეტი. ხარჯი ყოფილა 15,166,310 მან. ასე რომ, დარჩენია გზას—13,187,955 მან.

✦ მთავარ-მართებელთან მყოფი ტეხნიკოსი, ხუროთ-მოძღვარი სიმონსონი და ტფილისის საგუბერნიო ხუროთ-მოძღვარი ტრონოვი, „კავკ.“-ის სიტყვით, თანამდებობას თავს ანებებენ.

✦ პარასკევს, 7 მარტს, ავლაბრის სახალხო თეატრში სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენილ იქმნება „პატარა კახი“, აკაკი წერეთლისა.

✦ ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან გაიხსნა საფუტკრე. სკოლის მოწაფეთ ახლა შეძლება მიეცათ მეფუტკრეობა პრაქტიკულად შეისწავლონ.

✦ გუშინ, 6 მარტს, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის წინადადებით ყვირილაში უნდა ჰქონოდათ კრება შორაპნის მაზრის ბლაღოჩინებს, თითოეულ საბლაღოჩინოდან მოწვეული იყო აგრეთვე ორი სამი ნასწავლი მღვდელი. კრებაზე ექმნებათ ბაასი ღვთისმსახურების გარეშე საუბრების გამართვის შესახებ ეკლესიაში. ამ კრებას მათი მეუფებაც უნდა დასწრებოდა.

✦ ახალის განკარგულებით დედათა გიმნაზიებში მიიღებიან მოსამზადებელ კლასში 9—10 წლისანი, 1-ში—10—11 წლისანი, მეორეში—11—12-სანი, მესამეში—12—13-სანი ანუ 14 წლისანი, მეოთხეში—13—14 ანუ 15-სანი და ასე-ამ რიგად. თუ ქალი ერთის წლით მეტის ხნისაა, იმის მიღება შეიძლება მხოლოდ საპედაგოგიო საბჭოს გარდაწყვეტილებით.

✦ გამოცხადებულია, რომ იმ ქალაქებში, საცა რეალური სასწავლებელი არ არის, შეიძლება მსურველნი გამოცდილ იქმნან გიმნაზიის კურსის ცოდნაში და თან არ მოეთხოვოთ ცოდნა ძველის ენებისა.

✦ პოდპოლკოვნიკობა მიიღო კაპიტანმა არჯევანიძემ, რომელიც იყო საპოლიციო დარაჯის ინსპექტორად ბაქოში.

✦ პოდპოლკოვნიკობავე მიიღო ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწემ კაპიტანმა დ. ქართველიშვილმა.

✦ ქვიშხეთში, სახლის პატრონთა შინ არყოფნის დროს, გაუქურდნიათ ი. დ. ყითიანის სახლი.

✦ 18 აპრილიდან მეოთხე კლასის ვაგონები იქნება შემოღებული. აქამდეც იყო ეს ვაგონები, მაგრამ თუ არ 30 კაცს ერთად, ისე არ მიჰყიდიდნენ ხოლმე ბილეთებს. ახლა კი ყოველს თითოეულს მსურველთაც შეეძლება იაფი ფასის ბილეთი იყიდოს და იაროს მეოთხე კლასით ბათუმიდან ბაქომდე და ბაქოდან ბათუმამდე.

✦ გუშინ, 6 მარტს, უნდა გადამწყდარიყო პეტერბურგში, რა მიმართულება მიეცეს შავის ზღვის პირად გასაყვანს რკინის გზას.

✦ ზაქათალის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი იაზიკოვი დაინიშნა დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ.

✦ დღეს, 7 მარტს, საღამოს 8 საათზედ საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება. განსახილველია მიმდინარე საქმეები და მოხსენება ა. ი. საკოვისა „ძირითადნი საჭიროებანი სასოფლო მეურნეობისა ამიერ-კავკასიაში და სასურველობა საერობო დაწესებულებათა შემოღებისა“—Объ основныхъ нуждахъ Сельскаго Хозяйства Закавказья и необходимости введенія земскихъ учрежденій въ краѣ.

✦ 15 აპრილს სრულდება 30 წელიწადი პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

✦ ოლგის საბებიო ინსტიტუტის მართველობა არ ღებულობს მშობიარე ქალებს, რადგან აღარა აქვს თავისუფალი ლოგინები; ამიტომ ტფილისის საბჭოს ხმოსანმა ქანანიავმა მოხსენება შეიტანა ქალაქის სამმართველოში, სასურველია, ტფილისის სხვა-და-სხვა უბნებში, განსაკუთრებით-კი ავლაბარში, მშობიარეთათვის ახალი თავშესაფარი გაიხსნასო.

ქართული თეატრის დღევანდელი საჭიროება.

წერილი პირველი.

წლევანდელი სეზონი გათავდა, თუ არა, რეცენზენტებმა ახლაც არ დაიშურეს ტკბილი სიტყვები გულის მოსაფხანად; მიაყარეს ქვა და გუნდა და მიაძახეს: წასულა და აღარ მოსულა შენისთანა სეზონიო. არამც თუ გათავებისას, არამედ მთელ წარსულ სეზონის განმავლობაში სუ მაგ აზრისანი იყვნენ თითქმის ყველანი—ქარ

თულ-რუსულ გაზეთების რეცენზენტებიდგან და-წვებული—მდაბიო ხალხამდე.

არ მოსწონდათ პიესები, არ მოსწონდათ წარმოდგენების საქმის წარმოება, არ მოსწონდათ პიესების მზადება და მოწყობა...

უსაყვედურებდნენ ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობას, უსაყვედურებდნენ რეჟისორს და არტისტებს.

სამაგიეროდ, არ იყვნენ მადლიერნი უკანასკნელნიც პრესისა და ხალხისა; არ ეთანხმებოდნენ რეცენზენტების აზრს, ყურს არ უგდებდნენ უმრავლესობის მოთხოვნილებას; ისევ თავიანთებურად განაგრძობდნენ საქმეს. ერთის სიტყვით, ქართულ თეატრის მომუშავეთ და იქ მოსიარულეთ ერთმანერთისა ვერა გაიგეს-რა. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა უნდოდათ პირველთ, რას თხოულობდნენ მეორენი.

სეზონიც ისე გათავდა, რომ, მგონია, მაინც ვერ გაიგეს ერთმანერთის აზრი.

სამწუხაროდ, ამ გარემოებას დღემდის ჭეროვანი ყურადღება არავინ მიაქცია, არ გამოიძია მისი მიზეზი და საშველი საღსარი, რომ შემდეგში მაინც ავიცდინოთ თავიდგან ეს უსიამოვნო და მავნებელი მდგომარეობა ერთისაცა და მეორე მხრივაც.

საშველი, იქნება, თითონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ იპოვოს, ეგ იმის საქმეა...

მე-კი აქ მინდა, მკითხველს გავუზიარო მხოლოდ ჩემი აზრი ამ საგნის შესახებ. დავასახელო მიზეზები სეზონის უვარგისობისა, მოვიხსენიო დღევანდელნი საჭიროებანი ჩვენი თეატრისა, რამდენადაც შევიძლებ.

საზოგადოდ, წარმოდგენა რომ სასურველი იყოს და ხალხი კმაყოფილი, საჭიროა სამი უმთავრესი რამ: პიესა, რომ საზრდოს აძლევდეს ხალხს; არტისტები უნდა იყვნენ შეხამებულნი, ყველას თავის განსაკუთრებული როლი უნდა ჰქონდეს—და სცენას უნდა ჰყავდეს მცოდნე და გამოცდილი ხელმძღვანელი. მაშასადამე საჭიროა: რეპერტუარის შემუშავება, ამხლუა გამორკვეული არტისტები და მცოდნე რეჟისორი. აი ის სამფეხა ზედადგარი, რომელზედაც შეიძლება მომზადდეს ჩინებული წარმოდგენა და რომელსაც ქვეშ საქმის სიყვარული უკეთია ცეცხლად. ეს სამი რამ თუ არ შესრულდა, სცენა კოჭლი იქნება და წარმოდგენა არა-სასიამოვნო.

ახლა ვიკითხოთ, ჩვენს თეატრში ეს სამი რამ სრულდებოდა, თუ არა გასულ სეზონში.

სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ სრულდებოდა. სამაგიეროდ, რასა ვხედავდით? ვხედავდით მხოლოდ სათაურით ამოჩეულ პიესებს, [illegible] და ჩვენს ცხოვრებასთან, ჩვენს ხალხთან; სხვისა როლებში—ძალათამხლუა შეცვლილ არტისტებს, რომელთაც ისე უხდებოდათ ეს მორთულობა, როგორც ყვავს ფარშევანგის ფრთები; პიესების მზადებაში უხელმძღვანელობა ისე ეტყობოდა თითქმის ყველა პიესას, როგორც ენა-ჩლიგნს ლაპარაკში თავის ნაკლი.

გადავავლოთ თვალი ოდნავ მაინც წარსულ სეზონში დადგმულ პიესებს. მთელი სეზონის განმავლობაში გაიმართა 38 წარმოდგენა, მაშასადამე, ითამაშეს ამდენივე პიესა (ვოდევილებს გარდა). ამათში განიმეორეს ორი პიესა, ასე, რომ დარჩება 36. ორიგინალური ყოფილა 7, გადმოკეთებულიც 7 და თარგმანი 22.

რადგანაც ჩვენებურად გადმოკეთებული პიესები იმდენად უხეიროდ და შეუფერებლად გადმოკეთდება ხოლმე, რომ შიგ არაფერი ქართული არა არის, მოქმედ პირთა სახელისა და გვარის მეტი, ამიტომ ეს პიესებიც თარგმანებს უნდა მივათვალოთ (თუმცა ცუდს თარგმანებს). ასე, რომ თარგმანები გამოდის 29, მაშინ, როდესაც ორიგინალური პიესები კი შვიდი! ოთხჯერ ნაკლები!!

საკვირველია, რად ინებეს ასეთი საქმე ჩვენის თეატრის გამგეთ? იქმნება თარგმნილი პიესები სულ ნარჩევი იყო და იმიტომ? აბა ვნახოთ: იმ 29 პიესიდან შეიძლება გამოარჩიო სულ 10, საყოველთაოდ ყურადღება დამსახურებული და, მართლაც სალიტერატურო განძი უცხოურის ენისა, მაგ.: სიდომის წარდგნა, ტარტიუფი, ავადმყოფნი და სხ. დანარჩენი 19-კი ისეთი გახლავთ, რომ არა მგონია სარეპერტუარო პიესებად ჩაითვალოს.

მგონი დამეთანხმებით, რომ ასეთები იყო მაგ.: ლანდი, კოგერლეის მკვლელობა, გრიგალი, და სხ.

თუმცა მოტებული ნაწილი ასეთი სუსტი პიესები იყო თარგმნილიც, მაინც ორიგინალური შვიდი დადგეს,—შვიდი დადგეს ოცდა თექვსმეტში?!. ეს რას უნდა მივაწეროთ?.. იქნება იმას, რომ ორიგინალური მეტი არა გვაქვს, ან თუ გვაქვს ძალიან სუსტებია? რამდენსაც ვიცნობ ჩვენს დრამატიულს ლიტერატურას, ორიგინალური პიესები საკმაოდ გვაქვს და არც იმაზედ სუსტებია, როგორც ზემორე დასახელებული თარგმანები. მეორეც ესა, უნდა ვეცადნენ რეპერტუარის გაფართოებას საკუთარის ქართულის პიესებით; ახალგაზრდა მწერლები უნდა წავახალისოთ, გზა მივცეთ სამუშაოდ; უნდა მეტი მშრომელი ხელი მოვიზიდოთ, ვიდრე ახლაა...

რეპერტუარის შედგენაში ჩვენის თეატრის გამგებელთ, მგონი, დიდი შრომა და ჯაფა არ დასჭირებიათ. აიღებდნენ პიესების სიას და ჩამოსთვლიდნენ: ეს წარმოვიდგინოთ, ამას ნუ წარმოვადგენთო; შინაარსის განსჯას და განხილვას არავინ დაეძებდა თითქმის. ამგვარად ბევრი საჭირო პიესა დარჩა ფარგალს გარეთ, ბევრი კი არა-საჭირო და უხეირო მოჰყვა რეპერტუარში.

ჩვენის ფიქრით-კი, უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხალხის მოთხოვნილებას, იმ ხალხისას, რომელიც დაიარება ჩვენს თეატრში. უნდა მივაწოდოთ ისეთი პიესები, რომლებიც იამება და სულიერს საზრდოსაც მისცემს, და არა ის, რაც ინტელიგენტ გამგებელთ თითონ მოს-[illegible] გამოდის. რაც მე მომწონს, შენც ის მოიწონეო, ე. ი. თეატრში მოდი და იმ პიესას უყურე, რომელიც ინტელიგენტსაც-კი ანცვიფრებს, თორემ შენ ხომ გაგანაითლებს და გაგანათლებსო. ამისთანა ძალდატანებით თეატრს თავისი მნიშვნელობა ეკარგება. აღარ არის მაშინ მიმზიდველი, სასიამოვნო ელფერი და იერი ეკლდება; მისდიხარ-კი თეატრში, მაგრამ გულში ხინჯი გაქვს, ჰფიქრობ: ვაი თუ ისეთი რამე მაჩვენონ, არც გულს მოჰხვდეს, არც სულსა და ვინანოდე.

თეატრი მით არის შესანიშნავი დაწესებულება კაცობრიობის ცხოვრებაში, რომ სიამოვნებასთან ერთად შეუმჩნევლად ზნეობრივს გამფაქიზებელს ზედგავლენასაც სტოვებს ადამიანზედ. თუ პირველი ჩამოაცალე და მეორეს დაუყენე, მაშინ თეატრი თეატრი აღარ არის, იგი კათედრაა, მქადაგებლის ამბიონი, რომელიც ბევრს არ ეპრიანება თეატრში. თავისი მიმზიდველი ელფერიც სრულიად ეკარგება ამ გვარად მოწყობილს თეატრს და ის ზედგავლენაც აღარა აქვს. ამ აზრით უნდა ვიხელმძღვანელოთ განსაკუთრებით ჩვენ—ქართველებმა. რათა? ამასაც ხვალ მოგახსენებთ.

ნარვილი,

(დასასრული იქნება)

ჩვენებური ამბები

ქიზიყი. თებერვლის დამლევს თოვლი მოვიდა მსუბუქად. მძაფრი სიცივეების გამო ჯერ, ვაზსა და ხეხილს არ ეტყობა გამოღვიძება. შარშან ამ დროს-კი „ორსულად იყო“ ვაზის კვირტი და დიდძალი ვენახები და ხეხილი დიაძრო მარტის დამლევს მოსულმა თოვლმა.

რუსეთი

— სამიწად მოქმედი სამინისტროს განკარგულებით მიმდინარე 1903 წ. ქ. ხარკოვის სამეურნეო სკოლასთან დაარსებული იქნება უფასო სპეციალური კურსები. ასწავლიან უფასოდ ხეხილის გაშენებას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობას. ამ საგნების თეორეთიული და პრაქტიკული სწავლება სოფლის მასწავლებელთათვის არის დანიშნული. კურსები დაიწყება 1 მაისს და დასრულდება 1 ივნისს ამ 1903 წ. ვინც ამ კურსებზე წასვლას მოისურვებს, უნდა მიმართოს თხოვნით ადგილობრივ სახალხო სკოლების ინსპექტორს. კურსებზე 40 მსმენელზე მეტს არ მიიღებენ.

— საერო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა, რომ შინაურ მასწავლებლის მოწმობა მიეცემა მხოლოდ იმ ქალთ, რომლებიც წარმოადგენენ ნამდვილ ატესტატებს, სადაც აღნიშნულ იქნება, რომ იმათ საქალებო გიმნაზიის კურსი აქვთ შესრულებული ან იმისთანა სასწავლებელთა, რომელნიც კურსით ამ გიმნაზიებს უდრიან.

— „რუს. სლ.“-ში დაბეჭდილია: „4 თებერვალს ღამით, ქარბუქის დროს, მოსკოვისა და ყაზანის რკინის გზის შტოზედ გაიყინა ორი მუშა. მათი გვამები, როგორც ამბობენ, უპოვიათ სადგ. რუზაევკასთან.

„გზის ამმართველობა, რომელმაც გზის გასაწმენდად გაგზავნა მუშები, 25 გრადუსის [illegible] შეშა გაგზავნილ მუშათათვის. ამიტომ შედეგი სამწუხარო მოჰყვა ამას: მუშები გაიფანტნენ, გარდა ორისა, რომელიც გაიყინნენ. ამ ამბავმა მცხოვრებნი მეტის-მეტად აალელვა და რამდენსამე დღეს უარი განაცხადეს სამუშაოზედ გასვლისა, თუმცა სამუშაო ქირას ერთი სამად მეტს აძლევდნენ; მცხოვრებნი, პოლიციის დახმარებით, ძლივს გაიყვანეს სამუშაოდ.

გაზ. „Нов. Вр.“-ს შეუტყვია, რომ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, თუ როგორი წესი უნდა შემოღებულ იქნას, რომ კერძო სამრეწველო ქარხნებში მომუშავე ხალხს ხელთ ჰქონდეს ყოველთვის ავადმყოფობაში ექიმთაგან დახმარება. ამ პროექტის საფუძველი შემდეგია:

სამრეწველო ქარხნების პატრონებმა თავისი ხარჯით უნდა გაუწიონ დახმარება მუშებს, რომელნიც ავადმყოფობის მიზეზით ვერ შეიძლებენ მუშაობას. ავადმყოფნი სამი თვის განმავლობაში უნდა შეინახონ და უწამლონ, განსაკუთრებულ პატივ-სადებ შემთხვევაში-კი ექვსი თვის განმავლობაში. მუშაობის მოსპობის შემდეგ, იმის მიუხედავად, ძალაშია თუ დაირღვა ქარხნების პატრონთა და მუშათა შორის საქირო ხელ-შეკრულობა. იმ შემთხვევაში-კი, როცა მუშებს ავადმყოფობა მუშაობას არ დაუშლის, ქარხნის პატრონები იძულებულნი იქნებიან უწამლონ იმათ, როგორც მოსიარულე ავადმყოფთ, ამბულატორული წესით, სანამ ქარხნების პატრონებისა და ამ მუშათა შორის საქირო ხელ-შეკრულობა არ დარღვეულა. ქარხნის პატრონებმა ან უნდა თავის ხარჯით ააგონ საავადმყოფოები, ან უნდა პირი შეკრან ერთმანეთთან და ქალაქის აწ საერობო სამმართველოებთან შეთანხმდნენ, თავის ავადმყოფ მუშათა წამლობის შესახებ; იმ ადგილებში-კი, სადაც ეს დაწესებულებანი არ არიან, უნდა მიმართონ იმ დაწესებულებათ, რომელნიც მათ მაგიერობას ასრულებენ. იმ შემთხვევაში, თუ ახლო-მახლო სხვა ქარხნები არ არსებობენ, პატარა ქარხნების პატრონები, სადაც 200-ზე მეტი მუშა არ იქნება, განთავისუფლებულნი იქნებიან მუშათა საავადმყოფოებში სავალდებულო წამლობისაგან; იმ ქარხნების პატრონები-კი, სადაც ასზე მეტი მუშა არ არის, განთავისუფლებულ იქნებიან როგორც მძიმე ავადმყოფ, აგრეთვე მოსიარულე ავადმყოფი მუშების წამლობისაგან.

უცხოეთი

გერმანია. გაზ. „D. T.“-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან,—სულთანის ბრძანებამ, ბაღდადის რკინის გზათა კონცესიის შესახებ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საპოლიტიკო სადიპლომატო წრეებში. საყოველთაო აზრით, ეს განკარგულება სწორედ განუსაზღვრელ კონტროლის უფლებას ანიჭებს გერმანელებს ოსმალეთის საფინანსო და სასტრატეგიო საქმეებში, რაიცა თითქმის იმას უდრის, რომ გერმანელები ხელმძღვანელად უხდებიან ოსმალეთის პოლიტიკაში. მართალია „Deutsche Bank“-ი ოფიციალურად არაა მონაწილე კონცესიისა, მაგრამ ნამდვილად-კი სრულ მის გავლენის ქვეშაა ანატოლიის რკინის გზის კამპანია. სწორედ ამ კამპანიას ჰქონდა მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან კონცესიის შესახებ.

ჰგონებენ,—ეს ბრძანება ხონთქრისა პასუხია ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მთავრობათა და მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა გამო.

მაროკკო. როგორც გაზ. „Times“-ს შეუტყვია ტანჟერიდგან, მადრიდიდგან მოსული დეპეშები,—ტახტის მაძიებელი საბოლოოდ დამარცხდაო—სიმართლეს ყოფილა მოკლებული. ინგლისურ გაზეთებს შეუტყვია, რომ სულთანის ჯარს რამდენჯერმე დაუმარცხებია მეამბოხეთა მცირე რაზმები. სულთანი კიდევ ჰყიდულობს ევროპაში იარაღსა და სამხედრო სურსათს. მოსალოდნელია, რომ სულთანს კიდევ ახალი სესხის აღება დასჭირდეს, რადგან ამბოხებამ მეტად დაავალიანა მისი ხაზინა. თვით უმახლობელესი მეგობრები და მოკეთენი სულთანისა დიდად უკმაყოფილონი არიან, რომ იგი თანაგრძნობით ეპყრობა ევროპიელებს, იბარებს იქიდგან სხვა-და-სხვა საქირო საქონელს, იძენს ინგლისში მამულებს და, ამასთანავე დიდ-ძალი ოქრო და ძვირფასი თვლები ლონდონის ბანკში აქვს შენახული.

ეს უკანასკნელი ცნობა ყველაზედ უფრო საყურადღებოა. საფიქრებელია, რომ სულთანი დამარცხებას მოელის და, თუ მართლა იძულებული შეიქნა სხვას დაუთმოს თავისი ტახტი, წინდაწინვე უზრუნველ-ყოფილი ექნება მომავალი,—გადასახლდება საყვარელ ევროპაში და ისე იცხოვრებს, როგორც შეფერის „წარჩინებულ უცხოელსა“.

საფრანგეთი. პრეზიდენტმა შეამოწმა დადგენილება, რომლის ძალითაც უნდა გაუქმდეს ნანსის „კეთილ მწყემსი“-ს უდაბნო.

ეს სახელოვანი უდაბნო მითია ცნობილი, რომ იქ აღსაზრდელად აყვანილ ღარიბ-ღატაკ ბავშვებს მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ.

— ვატიკანისა და საფრანგეთის მთავრობის შორის ჩამოვარდნილს უთანხმოებას ჯერ ბოლო არ უჩანს. როგორც ეტყობა პაპი მიყუჩებულია და ელოდება კომბის სამინისტროს მოქანცვას,

რომიდან ატყობინებენ საფრანგეთის გაზეთებს: „ამ რამდენისამე დღის წინად პაპმა ინახულა ოტენის ეპისკოპოსი, კარდინალი პერრო და გამოუცხადა, ეპისკოპოსთა დანიშვნის შესახებ ვატიკანი არავის არაფერს დაუთმობს და არც აშკარა წინააღმდეგობას გაუწევს ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობის საქციელსაო. თუ ვატკანმა ასე არ იმოქმედა, საფრანგეთის უკიდურესნი რესპუბლიკანელნი ისარგებლებენ მისის შეცდომებით და ყოველ ღონეს იღონებენ, რომ სრულიად შესწყვიტონ ყოველივე კავშირი ვატიკანთანაო. თუ ისე ვიმოქმედებთ, როგორც ეხლა აგიხსენ, ეპისკოპოსთა დანიშვნის საქმე გაურჩეველი დარჩება, და კომბის სამინისტრო დასასრულ იძულებული შეიქმნება ჩვენს სასარგებლოდ გადასწყვიტოს იგიო.

ინგლისი. მარტის 25-ს ჰალვეისის (ირლანდიაში) ოლქში შესდგა საკანონმდებლო არჩევნები, სახელმწიფო ღალატისათვის უვადოდ მაღნებში სამუშაოდ გაგზავნილ დეპუტატის ლინჩის მოადგილის ასარჩევად.

ირლანდიის შეერთებულმა ლიგამ წარადგინა მხოლოდ ერთი კანდიდატი, ნაციონალისტი დევლინი, რომელიც, რასაკვირველია, ერთხმად არჩეულ იქმნა. 1900 წლის არჩევნებზედ ჰალვეიში აირჩიეს კონსერვატორი მორრისი; 1901 წელს ნაციონალისტმა ლინჩმა დაამარცხა მოციქე, უნიონისტი პლონ-

---

ფელეტონი

ნაწყვეტი

დაუსრულებელ რომანისა.

(შემდეგი *)

როგორც შეპირება გვქონდა, ჩვენ თითქმის კვირაში ორჯელ ვწერდით ერთმანერთს პირველ გიჟურ სიყვარულის ცეცხლით ავსილ წერილებს. გავიდა ასე ხუთი თვე და თამროს წერილები უცბად შესწყდა. მე კინაღამ ჭკუაზედ შევიშალე.—სულ იმის ფიქრსა და დარდში ვიყავ, თუ რა მოუვიდა თამროს, რომ წერილებს აღარ მწერდა.—„უეჭველია—“—ვფიქრობდი მე,—მძიმედ ავად გახდა ან და რამე დიდი უბედურობა დაატყდა თავს, თორემ როგორ მოუთმენდა გული, ამდენის ხნის განმავლობაში ერთი ბარათი არ გამოეგზავნა—რაკი თვითონ თამროსაგან ამბის მიღებას ვეღარ მოვესწარ, ერთს ჩემს ნაცნობ ყმაწვილ კაცს მივმართე თხოვნით, ეცნობებინა ყოველივე გარემოება თამროსი და თანაც გაეგო მიზეზი მისი ეგ ზომ ხანგრძლივის სიჩუმისა. პასუხს დიდხანს არ დაუგვიანია. ათრთოლებულის ხელით გავხსენი წერილი და შემდეგი წავიკითხე: „შენს თხოვნას ვასრულებ და გატყობინებ, რომ თამრო უთნელიძის ქალი დედ მამას ვიღაც თელაველ სირაჯისთვის მიუთხოვებია და კიდევაც გაუსტუმრებია სიძის სახლში“.

ამ ამბავმა პირველად თავ-ზარი დამცა, გამაშეშა, გონება დამიხშო; შემდეგ, როცა ცოტათი გამოვფხიზლდი და აზრი ამუშავდა, ამ უბედურ შემთხვევის აწონ-დაწონვას, გარჩევას შევუდექ—არ ვიცი, როგორ ავხსნა? ვფიქრობდი მე—ნუ თუ დავიჯერო, რომ თამრომ მიღალატა და ვიღაც სირაჯზე გამცვალა? განა დასაჯერია, რომ ამდენი თვალთმაქცობა, პირ-ფერობა შესძლო და რომ ამდენის ხნის განმავლობაში ასეთის მოხერხებით თვალებს მიხვევდა? არა, ეს შეუძლებელია! მაშ როგორ მოჰხდა, როგორ? იქნება დედ-მამამ ძალად მიათხოვეს, ძალად ჩაუგდეს ხელში არა სასურველ კაცს? თუ ეს ასეა, თამრო აქ რა შუაშია? როგორ თუ რა შუაშია? განა არ შეეძლო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წინააღმდეგობა გაეწია დედ-მამისათვის, თავის წმინდა გრძნობის და პირადობის დასაცველად? რასაკვირველია, შეეძლო, და ვალდებულიც იყო; მაგრამ ჩანს იმდენად არ ვყვარებივარ, როგორც მე ვფიქრობდი...—ამ გვარის მსჯელობით თანდათან იმ დასკვნამდის მივედი, რომ თამრო თვალთმაქცობდა, მატყუილებდა, პირბადით მეჩვენებოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ესარგებლა ჩემის წრფელის გულუბრყვილო სიყვარულით თავის წვრილმანი პატივ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რომ „კნეინა“ გამხდარიყო, დიდებული ოჯახის გვარი მიეთვისებინა. რაკი ეს ეგოისტური სურვილი მაშინვე ვერ აუსრულე, არც აცივა, არც აცხელა, ჰკრა წიხლი ჩვენს ძველ მეგობრობას და კავშირს, გასტეხა ფიცი და ვიღაც სირაჯს მისთხოვდა...

ამ დასკვნის შემდეგ, ღრმა მწუხარებასა და სევდასთან ერთად, რომელმაც შემიპყრო, რაკი თამროს გათხოვების ამბავი გავიგე, თავი იჩინა ძლიერად ჩემმა შელახულმა თავმოყვარეობამ, და გულში დამებადა და თანდათან გაიზარდა შურისძიების, ზიზღისა და სიძულვილის გრძნობა... ამის შემდეგ გადავსწყვიტე, ძირიან-ფესვიანად ამომეგდო გულიდან უღირსი სიყვარული და ამისათვის საუკეთესო საშუალებად ვსცანი ფუქსავატი ცხოვრების აყოლა, ქეიფი, ღვინო და ქალები...

გავიდა დრო და ჟამი. მრავალმა კოკა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ბევრმა რამ იცვალა ფერი, ჩემშიაც და ჩემს გარშემოც... დავცოლშვილიანდი. დრომ, ამ საუკეთესო ექიმმა, თითქო გულის ძველი წყლულები სრულებით გამიკურნა და მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოშალა ჭაბუკობის გატაცების ფურცელნი. მაგრამ ამოშალა-კი? მაშ რად მაღელვებს, რად მიშფოთებს სულსა და გულს „მისი“ აქ ყოფნა? რადა ვგრძნობ ამ უცნაურს მდგომარეობას, რომლისთვისაც სახელი ვერ მიმიცია და რომელიც შეზავებულია რაღაც ტკბილითა და თან მწარის გრძნობით.

* * *

უეცრად რაღაც საშინელი ხმაურობა ასტყდა. შევკრთი და თვალებზედ ხელი ავიფარე, რომ ერთბაშად მოვარდნილ სინათლისაგან თვალები დამეჩრდილა. ჩემის ფიქრის დენა შესწყდა, და მე, წარსულს მოგონებისაგან განთავისუფლებული, ვხედავდი და მესმოდა, როგორ ჰღელავდა და ხმაურობდა ირგვლივ ჩემს ზევით, ქვევით და გვერდით მაყურებლების ბრბო. დავინახე აგრეთვე, როგორ აიწია ფარდა და სცენაზე გამოვიდა გამოჩენილი მსახიობი მისებრ ცნობილ მსახიობ ქალთან ხელი-ხელს ჩაკიდებული და ზრდილობიანის თავის დაკვრით მადლობას უცხადებდა საზოგადოებას ყურადღებისათვის... ეს, ყოველივე დავინახე მხოლოდ ერთის წუთით, რადგანაც ჩემმა თვალებმა უნებურად რაღაც იდუმალის, დაუძლეველის ძალის ზედ-გავლენით მოპირდაპირე ლოჟისკენ დაიწყო მზერა. ის სრული განხორციელება ამ ქვეყნიურის სიტურფისა ფეხზედ იდგა და მომხიბლავის მხიარულის ღიმილით და გაბრწყინვებულის სახით ტაშსა სცემდა.

— ალექსი!—მომესმა ამ დროს ცოლის შეწუხებული ძახილი. მე თავი იმისკენ მივაბრუნე.

— ეხლავე შინ უნდა წავიდე... ძალიან ცუდათა ვარ.—წყნარის, მაგრამ თითქოს გაანჩხლებულის ხმით მითხრა მარომ.

— რა მოგივიდა, ქალო, რასა ჰგრძნობ?—ვკითხე და გაკვირვებით შევხედე სახეზე, რომელზედაც მწუხარება და შიში წავიკითხე.

— ოჰ, მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება!.. ამ საათშივე უნდა წავიდე, ამ წუთშივე—მომიგო მან, როგორც ეხლა შევატყე, სწორედ გაანჩხლებულის ხმით.

მივხვდი, რაც ხდებოდა გულში: ეს გაანჩხლებული მთრთოლვარე ხმა, შეშფოთებული სახე და იმისკენ ზიზღით ხშირი გახედვა...—აქ ეჭვია და სხვა არაფერი.—ვიფიქრე და ნერვიული მოძრაობით ქუდს ხელი დავავლე.

— რაღას მოდიოდი თუ ცუდად ჰგრძნობდი თავს?—ვუსაყვედურე მაროს, რომელიც თავზე რკინის ჩხირით ქუდს იმაგრებდა; შევამჩნიე ამ დროს, რომ ხელი ძალზედ უთრთოდა, კარგა ხანს იწვალა, სანამ ქუდი დაიმაგრა. შემდეგ ხელი-ხელში გამიყარა და ლოჟიდგან გავედით. თეატრის გასავალსა და ფოიეში ხალხი ჭიანჭველასავით ირეოდა, ძლივ-ძლივობით ვიკაფავდით გზას შეჯგუფულ ხალხში და ამასთანავე ბეჯითად ვათვალიერებდი გამვლელ გამომვლელ მანდილოსნებს, რომ კიდევ ერთხელ მომეკრა თვალი იმისათვის. მარო ეხლა თითქო დაწყნარდა, და ჩვენ ხელი-ხელში გაყრილნი დავეშვით კიბეზე.

— მაშ, ის ქალი ვერ იცანი?—მომიბრუნდა მარო ცოტა ხნის შემდეგ, როცა ძირს ჩავედით და მეკარეს ჩვენი ნომრები გარდავეცი, რომ პალტოები მოენახა.

მე აღარ მოველოდი ამ კითხვას და სახტად დავრჩი,—არ ვიცოდი, რა მეთქვა და როგორღაც დარცხვენით და გაუბედავად შევხედე. არ ვიცი, გაიგო თუ არა ჩემი სულის მოძრაობა, მხოლოდ მისს სახეზე იმ წამს შეშინებულის მოლოდინის მეტყველება შევამჩნიე—ვუთხრა თუ არა?—დავეკითხე თავს—განა არ სჯობიან, ყველაფერი დაუფარავად ვუთხრა—ეს ხომ წარსული საქმეა. მაგრამ... ესეც კია, თუმცა წარსულია, მაგრამ მისთვის მაინც უსიამოვნო მოგონებით რად ვატკინო ტყუილად გული?

— საკვირველი ქალი ხარ, მარო, ღმერთმანი!—ვუთხარი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, რამდენადაც შესაძლო იყო, დამშვიდებულის ხმით.—თუ კი რამ გულში დავებადა, ვეღარ მოიშორებ ხოლმე; აკი გითხარ, ვერ ვიცნობ მეთქი...

მარომ იქვის თვალით შემომხედა, ამ შემოხედვაზე ვიგრძენ, რომ სახეზე წამოვწითლდი.—რად ვსტყუვი, ერთი მკითხოს კაცმა?—გავიფიქრე გულში.

გასავალ კარებს მიახლოვებული ვიყავით, რომ ჩვენს უკან მოისმა სანდომიანი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ხმა და მხიარული კისკისი. უნებურად უკან მოვიხედე.

— აი, ისიც—მითხრა მარომ ჩურჩულით და მკლავში გაყრილი ხელი აშკარად შეუთრთოლდა.

დიაღ, ეს იყო თამარ თავის კავალერით. მწვავის ცეცხლით სავსე თვალები თვალებში გამიყარა და ეშხიანის, რამდენადმე მზაკვრულის ღი-

---

*) იხ. «ივერია» № 52.

კეტი; ამ წელს უნიონისტებმა ვერც-კი გაბედეს თავის მხრით კანდიდატის დასახელება.

იტალია საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა საკვირაო შესვენების შემოსაღების კანონისათვის მასალის შეგროვება და ამ საქმის შესახებ მუშათაგან წარდგენილ ქაღალდების გადათვალიერება, ამ დღეებში ჩვენება ჩამოართვა ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელ-გამომცემლებს და ასოთ-ამწყობთ საგაზეთო საქმეში კვირაობით შესვენების შესახებ. შემდეგ მოისმინა სასტუმროებში მოსამსახურეთა საჩივარი—კვირაში ერთი თავისუფალი დღე ჩვენც დაგვინიშნეთო. მოწვეულ იქმნენ სავაჭრო და სამუშაო წრეთა წარმომადგენელნი, რომელთაც უნდა დაემთავრებინათ ჩვენება. მათ ერთხმად კვირაობით შესვენების საჭიროება აღიარეს.

—

პარიჟის უნივერსიტეტი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). მესამე რესპუბლიკის არსებობის ხანა საუკეთესო და თვალსაჩინო ხანაა პარიჟის უნივერსიტეტის აღორძინებისა. პოლიტიკურმა უთანხმოებამ წარსულის საუკუნისამ ღრმა კვალი დააჩნია საფრანგეთის ყველა უნივერსიტეტს საზოგადოდ და კერძოდ—პარიჟისასაც. მართალია, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაშიაც, მაგალითად, 30 და 40 წლებში, ლუი-ფილიპპეს დროს, აღორძინება და აყვავება ეტყობოდა უნივერსიტეტებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდა. 25 წლებში მოჰხდა ღრმა ცვლილება საფრანგეთის ცხოვრებაში: გამეფდა ძალმომრეობასა და უკანონობაზედ დაფუძნებული იმპერატორის რეჟიმი, რომელმაც თავის მხრივ გაამეფა კლერიკალიზმი და, აი, ამ ცვლილებამ საგრძნობლად შეაფერხა უნივერსიტეტების წინსვლა-წარმატება. მეორე იმპერიას არ შეეძლო უუნივერსიტეტოდ ყოფნა, რადგან მას სჭირდებოდნენ მკურნალნი, ინჟერნი, მოხელენი და მასწავლებელნი; ამასთანავე თავის კეთილდღეობის დასაცველად ერიდებოდა ხალხის ფართო განათლება-განვითარებას. ამიტომ, მეორე იმპერია ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, მეტად ვიწრო ფარგალში მოექცია უნივერსიტეტში სწავლის მსურველნი. ამ აზრით იმპერია აარსებდა ფაკულტეტებს სპეციალურ სწავლის მისაღებად. შედგენილ იქმნა აგრეთვე აუარებელი პროგრამები, რომელნიც სრულიად არ აკმაყოფილებდნენ არც მეცნიერებისა და არც ხალხის მოთხოვნილებას. ამას დავუმატოთ ისიც, რომ იმპერია ცდილობდა, უნივერსიტეტის კათედრა ხალხისთვის, გულშემატკივარ და მცოდნე კაცთათვის კი არ ჩაებარებინა, არამედ თავის მომხრეთა და სრულ მონა-მორჩილთათვის და მაშინ აშკარად წარმოვიდგენთ, თუ როგორის უსამართლობის და უკუღმართობის ზღუდე იქმნებოდა ინივერსიტეტი. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩქარა მოეღო ბოლო იმპერიას და მისმა შეფობამ 18 წლის განმავლობაში ვერ დაარღვია დიდი ტრადიციები უნივერსიტეტისა, რომელიც რვა საუკუნის განმავლობაში მედგრად იბრძოდა არსებობის დასაცველად.

ღრმად შერყეულნი საფუძველნი უნივერსიტეტისა კვლავ აღადგინა მესამე რესპუბლიკამ, მაგრამ ამ საქმისთვის მას დასჭირდა დიდი დრო და მეცადინეობა. როდესაც იმპერია დაეცა და დაარსდა რესპუბლიკა, მაშინ საფრანგეთში წამოყენებული იყო მრავალი საკითხები, რომელნიც დაუყოვნებლად მოითხოვდნენ თავის დაკმაყოფილებას.

დაცემა იმპერიისა გერმანელთა ზარბაზნებით, შინაური ომი, რომელმაც მთლად შეარყია საფრანგეთის საფუძველნი, ყველა ეს მოითხოვდა სახელმწიფო წყობილების ძირითადს შეცვლას და, თითქმის, ერთიან გარდაქმნას. სრული შემუსრვა და გაფანტვა მანამდე უძლეველის ჯარისა მოითხოვდა ჯარის აღდგენას სრულიად ახალის ორგანიზაციით. ამას ზედ დაურთეთ ნივთიერი ხელმოკლეობა საფრანგეთისა და საშუალო განათლების მიღების წყურვილი.

აი, უპირველესი მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილებასაც მოუნდა რესპუბლიკა პირველ ორ წელს; მხოლოდ ამას შემდეგ მიეცა შეძლება რესპუბლიკას, ეზრუნა უმაღლესს სწავლისათვის, რომელიც დიდი რეფორმების დროს, რამაც ოც წელს გასტანა, უყურადღებოდ იყო დატოვებული. 1896 წელს დასრულდა საფრანგეთის უნივერსიტეტების ორგანიზაცია იმ სახით, როგორითაც არის ახლა და როგორითაც კიდევ დიდხანს დარჩება.

ამ წერილში მე აღარ შევეხები თვით ორგანიზაციას, რადგან ამის შესახებ წინა წერილებში მოვილაპარაკე. დავუმატებ მხოლოდ, რომ თანამედროვე ორგანიზაციამ შეაერთა სხვა-და სხვა ფაკულტეტები და შეიტანა საფრანგეთის უნივერსიტეტებში მეტი თავისუფლება და განათლების დემოკრატიიზაცია, რაიც, ჩემის აზრით, გაგრძელებაა და პირდაპირი შედეგი საფრანგეთის წეს-წყობილების თავისუფლებისა და დემოკრატიზაციისა. თუ უნივერსიტეტი დამოკიდებულია საფრანგეთის წეს-წყობილებაზედ, მაშინ საგულისხმოა საფრანგეთის იმ წყობილების გაცნობა, რომელსაც ასეთი გავლენა აქვს უნივერსიტეტზედ. ამიტომ შემდეგ წერილებში შევეხები საფრანგეთს და მის წეს-წყობილებას იმდენად, რამდენადაც მასზე დამოკიდებულია უნივერსიტეტი.

ვ. ხუდადოვი.

ნარკვევი

გაზ. „Бакинск. Извѣст.“ ბ-ნი Ом-ი ფრიად საგულისხმიერო აზრებს გამოსთქვამს იმის შესახებ, თუ რა პრინციპს უნდა დაადგეს ადგილობრივი პრესსა რუსეთის განაპირა მცხოვრებელ ერთა შესახებ საკითხების განხილვაში.

„ამ პრესსამ, ავტორის აზრით, უნდა მიაქციოს ყურადღება, პირველად ამ ხალხთა ცხოვრების საზოგადო ვითარებას, მეორედ-კი—ყოველ განკერძოებულ ერის ნაციონალურ ცხოვრებას უნდა დაუკვირდეს. რასაკვირველია, საჭიროა ცდა რუსეთის განაპირა ხალხთა ცხოვრების საზოგადო გარემოებათა გაუმჯობესობისათვის, მხოლოდ იმავე დროს გარკვევით უნდა წარმოვიდგინოთ თვალ-წინ ყოველ განკერძოებულ ერის საჭიროებანი. თუ მართლა მოწადინებული ვართ დავეხმაროთ კავკასიის მრავალ-ფეროვან ერთა კულტურულ ზრდა-განათლებას, იმას-კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ როგორ და რა საშუალებით მივაღწიოთ ამ ხალხთა გაერთიანებას, ერთმანერთთან შესისხლხორცებას: ერთად ერთი ჩვენი წადილი უნდა იყოს, ხელი შევუწყოთ განკერძოებით თვითოეულ ერის ზრდა-წარმოებას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორიამ შექმნა ყოველი ერი და განკერძოებულ ვითარებაში ჩააყენა და ასე მიჰყავს იგი წარმატების გზაზე. ენა და ზნე-ჩვეულება—იმისთანა ბურჯებია, რომლის დანგრევა არ შეიძლება, რომელიც, გარდა ამისა, ფრიად პატივსაცემია. პატივისცემა ყოველის ერის სამშობლო ენისადმი უნდა განამტკიცოს მწერლობამ, რა ენაზედაც უნდა გამოსთქვას მან თავისი აზრი. ჩვენ უნდა დავუკვირდეთ ყოველ განკერძოებულ ერის ცხოვრებას, შევისწავლოთ ამ ცხოვრების მიმდინარეობა ყოველის მისის წვლილით ამ ხალხთა შესწავლაში ჩვენ არ უნდა ვიხმაროთ რომელიმე ძველი, გაცვეთილი საზომი, ერთი უგუნური დაღი არ უნდა დავაკრათ ყოველ ერს, რადგან ამით მხოლოდ ვნებას მოვუტანთ მისს წარმატებას.

—

გაზ. „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილია საინტერესო ცნობა ახალის საშუალების შესახებ უსინათლობის წინააღმდეგ, პარიჟიდგან მოწერილი:

ბოლოს დროს კვლავ დაიწყეს ლაპარაკი უსინათლობის წინააღმდეგ საშუალების შესახებ. პროფესორმა პეტერ სტიენსმა გამოიგონა მანქანა, რომლის საშუალებით შეუძლიანთ მხედველობა დაიბრუნონ არამც თუ იმათ, ვისაც თვალის სინათლე წაერთვათ, არამედ საგნების დანახვა შეეძლებათ იმათაც, ვინც დაბადებითვე უსინათლონი ყოფილან. როგორც მოგეხსენებათ, თვალები იმ სამსახურს გვიწევენ, რომ ამა თუ იმ სურათს, ოპტიურ (მხედველობის) ნერვების საშუალებით, აღბეჭდავენ ტვინში, სადაც, სხვათა შორის, მხედველობის უჯრაა მოთავსებული. თუ კი სურათი რამე შეიძლება თვალების დაუხმარებლად აღბეჭდოთ ტვინში, ბრმას რაღა დაუშლის იმნაირადვე დაინახოს ღვთის გაჩენილი ქვეყანა, როგორც ყველა თვალხილულმა.

პროფესორ სტიენსის მანქანა იმ კანონზეა დამყარებული, რა კანონზედაც ტელეფონია დამყარებული, და მისი დანიშნულებაც ის გახლავთ, რომ გადასცეს სინათლე, როგორც ტელეფონის დანიშნულება—ხმის გადაცემაა.

ექიმს კაზს თვითონ თავის-თავზე უცდია ამ საკვირველ მანქანის თვისება. ეს ექიმი შეუყვანიათ სრულიად დაბნელებულს ოთახში და ორივ თვალი მაგრად აუხვევიათ, ასე რომ სინათლე შიგ ვერას გზით ვერ გაატანდა, მხოლოდ ის გაუგონია, როგორ მოუკიდა პროფესორმა სტიენსმა ლამპარს, მაგრამ სინათლე კი არ უნახავს. პროფესორს მანქანა ექიმის საფეთქლებთან რომ მიუტანია, ჯერ ოდნავი სინათლე უგრძვნია, მერე ეს სინათლე თანდათან გაძლიერებულა; მოკლე ხანში ექიმს შესძლო თურმე დაეთვალა პროფესორის თითები, ოთახში დადგმული სკამები.

საექიმო მეცნიერების რამდენმამე წარმომადგენელმა სცადა ეს მანქანა და ყველამ მოიწონა. დაწვრილებითი ცნობები ამ მანქანის შესახებ ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, იმედია, ეს დიადი აღმოჩენა არ დაიხანებს მოკლეს ხანში ნუგეში სცეს მრავალთაგან მრავალ უსინათლოს, დაკარგული თვალთახილვა დაუბრუნოს, და ამ რიგად სამარადისო სალოცავად გახდეს ზემო აღნიშნულ მანქანის გამომგონის სახელი.

—

რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებმა თავისი აზრი გამოსთქვეს უმაღლესად გამოცხადებულის მანიფესტის შესახებ. გაზ. „Русск. Вѣд.“ სწერს:

„მანიფესტში აღნიშნული პროგრამმა მრავალ მხრივ შეეხება ხალხის ცხოვრებას. 26 თებერვლის მანიფესტში, რასაკვირველია, ჩამოთვლილია მხოლოდ სხვა-და-სხვა ზომები საზოგადო ხასიათისა, რომელთა დაწვრილებით შემუშავება მინისტრებსა და მთავარ-მართებულთა აქვთ მინდობილი. იმათ უნდა განავითარონ მანიფესტში აღნიშნული ძირითადი აზრი, ისე შეიმუშაონ სხვა-და სხვა განზრახვანი, რომ ხალხის ცხოვრებაში მათი განხორციელება შეიძლებოდეს, ე. ი. უნდა შემუშავებულ იქმნას დაწვრილებითი საკანონმდებლო პროექტები. მანიფესტში გამოთქმული განზრახვის განხორციელებას რასაკვირველია დრო უნდა. მთავრობამ უნდა გამოიყენოს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ხელთა აქვს საზოგადოებას. ამიტომ რასაკვირველია, რომ იმ საკითხთა განხილვაში, რომელიც რიგით ახლო ხანს უნდა მოხდეს, საზოგადოებამ თავისუფლად მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველაზე უწინარესს პრესსის, ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით, რომელსაც შეძლება უნდა მიეცეს ვრცლად და თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი სხვა-და-სხვა ღრმა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ.

—

ჟურნ. „Русск. Богат.“-ს თებერვლის ნომერში ბ-ნი მიაკოტინი საყურადღებო აზრებს გამოსთქვამს ქ. პეტერბურგის თვითმმართველობის რეფორმის შესახებ.

რეფორმას აზრადაა აქვს, ამბობს ავტორი, ქალაქის თვით-მმართველობა გასწმინდოს და განამტკიცოს, რომ შეუძლებელი იქნეს ქალაქის მართვა-გამგეობაში ბოროტ-მოქმედება და უდარდელობა. ამ მიზნით თვით-მმართველობას მთავრობის მტკიცე კონტროლსა და ზედამხედველობას აქვემდებარებენ. უნდა აღვიაროთ, რომ არა ნაკლები მაგალითები შეგვიძლიან მოვიყვანოთ მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებებში მომხდარ ბოროტ-მოქმედებისა და საქმის უდრეკელი მართვა-გამგეობისა; ეს იმ დროს, როცა პრესსას არა აქვს უფლება თავისუფლად განსაჯოს ადმინისტრატიულ დაწესებულებათა მოქმედება, როგორც იგი ქალაქის საქმეების შესახებ სჯის. ეჭვს გარეშეა, რომ ადმინისტრატიული კონტროლის გაძლიერება ქალაქის თვით-მმართველობის მოქმედების კრიტიკას შეზღუდავს, ფრთას შეუკვეცს, მოაშორებს თვით-მმართველობას ყველა იმათ, რომელნიც ეხლა ენერგიულად, გულ-მხურვალედ ემსახურებიან.

ნარევი და ნაკვესი

სტატისტიკური ცნობანი. ინგლისის პარლამენტის წევრს მოუნდა იმის გაგება, თუ, რამდენი ბედნიერი ცოლ-ქმარი სცხოვრობს ინგლისსა და საგრაფო მიდლ-სექსში. ამ აზრით დაუქირავა 12 გამოცდილი სტატისტიკოსი და აი, როგორი შედეგი მიუღიათ:

ცოლები, რომელთაც ქმრებისათვის თავი გაუნებებიათ, ყოფილან 1,362.

ქმრები, რომელთაც ცოლებისათვის დაუნებებიათ თავი—2,371.

ცოლ-ქმარნი, რომელნიც ერთმანერთის თანხმობით გაშორებულან,—4,120.

ცოლ-ქმარნი, რომელნიც ერთად სცხოვრობენ და ისე უყვართ ერთმანერთი, როგორც... შავი ჭირი—162,320.

ცოლ-ქმარნი, რომელთათვის სულ ერთია, ერთად იქმნებიან, თუ ცალკე—510,132.

ცოლ-ქმარნი, რომელთაც სხვები ბედნიერად სთვლიან, მაგრამ ბედნიერება სიზმარშიაც-კი არ უნახავთ,—1,101.

ცოლ-ქმარნი, რომელნიც, სხვასთან შედარებით, უფრო ბედნიერნი არიან—135.

ნამდვილად ბედნიერნი ცოლ-ქმარნი—7.

—

მ. გორკის მოძღვრებით გატაცებულნი. ქ. მინსკში რამდენიმე პირი უცნაურად ცდილობენ, განახორციელონ გორკის გმირები. ერთი ამ პირთაგანი თურმე დადიოდა ამ დღეებში და ამბობდა: „მე გორკის გმირი ვარ და დასალევად მომეცით რამეო“. ამას გარდა, ყოფილან სხვებიც, რომელნიც დაგლეჯილ ტანისამოსით დადიან ქალაქში და „გორკის გმირებად“ სთვლიან თავიანთ თავს.

—

საყურადღებო საჩივარი. ვარშავის ოლქის სასამართლოში ამ დღეებში გაირჩევა ერთი ძალიან და ძალიან საყურადღებო საჩივარი 18 წლის ქალისა, რომელიც ითხოვს, გაასწორეთ მეტრიკის წიგნი, სადაც სწერია ჩემზედ, ვითომც მე ქალი ვარო; მე კაცი ვარო. ერთმა ექიმმა, როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, თავისს ამხანაგებთან ერთად გასინჯა ქალი და.... კაცად იცნო.

—

ჩვენებურ სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ. ერთს სოფლის მასწავლებელს, რუსეთის გაზეთის სიტყვით, კედელზედ ეკიდა კალენდარი, რომელსაც ყოველდღე ახევდა ფურცელს და მეორე გვერდზედ დაწერილს კითხულობდა შეგირდებთა გასაგონად. ერთი დღე კა-

---

მილით, ოდნავ შესამჩნევად თავი დამიქნია. მე აღარ მახსოვს კარგად, დავუკარ მეც თავი თუ არა;—ეს-კი დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ გული შეშინებულ ჩიტივით, როგორღაც საბრალოდ აფართხალდა და მთელ სხეულში დამიარა რაღაც უზომოდ ტკბილმა ჟრუანტელმა...

გვერდზედ ჩაგვიარა თავ-ბრუ დამხვევის და შეუდარებელის მშვენიერებით აღსავსემ და ფოიესკენ გაემართა.

— ძალიან ლამაზია განა, ალექსი?—მკითხა მარომ და თვალებში ჩამაშტერდა.

— იმდენიც არაფერი—მივუგე, რამდენადაც შესაძლო იყო, დამშვიდებულის კილოთი და მაშინვე იმ ფიქრმა გამირბინა თავში, რომ მე ცოლის წინაშე ვთვალთ-მაქცობ, ვსტყუი, სისაძაგლეს ვკისრულობ. განა არ გამოვსცადე, ეს-ეს არის, მისის მწვავის თვალების ძლიერება, მისის სიკეკლუცის მიმზიდველობა? განა არ მაგონებს ეხლანდელი ჩემი სულიერი მდგომარეობა დაუვიწყარ ჭაბუკობის გატაცებას, ახლანდელი გრძნობა—მაშინდელსა?

ბინაზე ისე მივედით, რომ გზაში არც ერთს ჩვენგანს სიტყვა არ წამოგვცდენია. გავიხადე თუ არა პალტო, პირ-და-პირ საწოლ ოთახისკენ გავეშურე, რადგანაც დაწოლას ვჩქარობდი, რომ ღამის მყუდროებაში უფრო ნათლად გამომერკვია ჩემი გრძნობა-ფიქრები.

— ბავშვების უნახავად გინდა დაწვე?—მკითხა ცოლმა ყვედრებისა და თან გაკვირვების კილოთი, შეჩერდა რა საწოლ ოთახის კარებთან, რომელიც ბავშვების ოთახში გადიოდა. მე და ჩემს ცოლს მტკიცე ჩვეულებად გვქონდა მიღებული, სადაც უნდა ვყოფილიყავით, დაწოლის წინად უთუოდ მძინარე ბავშვებისთვის დაგვეხედნა, ბალიში ან საბანი გაგვესწორებინა, პირ-ჯვარი გადაგვეწერა და მხოლოდ მაშინ წავსულიყავით დასაწოლად, როცა კარგად დავრწმუნდებოდით, რომ ჩვენს საყვარელს ბღარტებს რბილად, მოსვენებით და ტკბილად სძინავთ თავიანთ პატარა ლოგინებში. იმ საღამოს-კი ეს ჩვეულება სულ გადამავიწყდა.

ცოლის ამ შემჩნევაზე არაფერი ვსთქვი, მხოლოდ ერთის წამით შევჩერდი, გაკვრით გადავავლე თვალი მძინარე ბავშვებს და აჩქარებით საწოლ ოთახში შევედი.

რამდენსამე წამის უკან ლოგინში ვიწექ და რომანი ხელში მეჭირა. ღრმა მყუდროებაში, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებდა ბუხრის თავზე დადგმულ საათის კაკუნს, ცოცხლად დამიდგა თვალწინ თამროს ლამაზი სახე, ეშხით სავსე თვალები, მომხიბვლელი ღიმილი და კეკლუცად თავის დაკვრა თეატრში. წიგნი ტყუილად, თავის მოსატყუებლად მეჭირა ხელში, რადგანაც ამაოდ ვსცდილობდი, წაკითხულის აზრი და მნიშვნელობა გამეგო: მთელი ჩემი სულიერი არსება ისე იყო შეპყრობილი იმაზედ ფიქრით და წარმოდგენით, რომ გარეშე აზრისა და შთაბეჭდილებისთვის, რომელიც იმას არ შეეხებოდა, ჩემს გონებაში ადგილი აღარ არსებობდა. ამასთან ვსცდილობდი, გამომერკვია ჩემი გრძნობანი, ამეწონ-დამეწონა მაშინდელი სულიერი მდგომარეობა და ამიტომ ვეკითხებოდი ჩემს თავს: —ნუ თუ განმიახლდა ძველი გრძნობანი და ერთხელ, ჭაბუკობის დროს გამოცდილი ვნება და გულის-თქმა ალაპარაკდა ჩემს გულში წინანდელის ძალით?..

მერე და ასე უბრძოლველად უნდა დავემორჩილო ამ გულის-თქმას? ეს ხომ ღალატია ცოლისა, იმ ქალისა, რომელსაც გაგიჟებით ვუყვარვარ, რომელმაც თავისი სიყმაწვილე, თავისი მშვენიერი სული და გული ჩემის ოჯახის ერთგულებას შემოსწირა და მაჩუქა ანგელოზებრ ლამაზი ბავშვები! არა, უნდა გადავუშალო გული, ყველაფერი გავუმხილო, და შენდობა ვსთხოვო. მაგრამ ამაღამ-კი არა. ხვალ, ხვალ სჯობია...

— შენ კიდეც დაწოლილხარ!—მითხრა რაღაც მოდუნებულის ხმით მარომ, დამიდგა რა პატარა მაგიდაზე გრაფინით წყალი და ჭიქა, რაიცა მოსამსახურეს დაჰვიწყებოდა. მე წიგნი მეჭირა ხელში; ეს წიგნი საფრად გავიხადე და ამიტომ თავისუფლად ვადევნებდი თვალს მის მეტყველ სახის მოძრაობას: შევატყე, რომ რაღაც აწუხებდა, რის გამჟღავნებაც ვერ მოეხერხებინა, ან თუ ვერ გაებედნა.

— ალექსი!..—დაიწყო მან წყნარად, ხმის ძლივ შესამჩნევის თრთოლვით და თვალების ძირს დახრით.

მე წიგნი გულზე დავიდევი და სმენად გარდავიქეც. გულმა საშინლად დამიწყო ცემა.

— მითხარ... ნუ დამიმალავ... გიყვარვარ ისე, როგორც წინად?—მკითხა და პირდაპირ შემომხედა თავის პატიოსან ლურჯის თვალებით, რომლებშიაც იმ წამს შიშ-ნარევი ლოდინი იხატებოდა.—ნუ-თუ მიმიხვდა ჩემის გულის ხვაშიადს?—გამიელვა აზრმა თავში, და მაშინვე მომაგონდა მაროს საქციელი თეატრში: მისი კითხვა,—მოგწონს თუ არაო,—ხშირ-ხშირად მისკენ შეწუხებულ სახის მიპყრობა, თეატრიდგან უეცარი გამოქცევა, თვალების და სახის მეტყველება,—და იმ დასკვნამდის მივედი, რომ ყოველივე იცოდა და ყოველსავეს მიხვდა ქალის ინსტინქტით. კარგა ხანს მიყურებდა მარო სევდითა და ლოდინით აღვსილის თვალებით რომელიც მომდგარ ცრემლებს მიებნიდათ.—ახლავე ყველაფერში უნდა გამოვტყდე,—გადავსწყვიტე გულში, მაგრამ ამ გარდაწყვეტილებისათანავე თვალწინ დამიდგა მაროს დამწუხარებული სახე, ყვედრება, ჩივილი, ცრემლები, ერთის სიტყვით ყველაფერი, რაც შეურაცხყოფილ თავმოყვარეობის გრძნობას შეუძლიან მოიმოქმედოს; ამასთანავე ისიც ვიფიქრე, რომ ცოლის წინაშე საქმით-კი არა ზრახვითა ვარ დანაშაული-მეთქი,—და, ყველა ამის შემდეგ, უარ-ვიყავ ჩემი დარდაწყვეტილება. მარომ უთუოდ ჩემს თვალებში წაიკითხა ყოყმანი და სულიერი რყევა, უეცრად გატრიალდა და საჩქაროდ მომშორდა.

— რა ახირებული კითხვაა, მარო! საიდან დაგებადა ეგ ეჭვი?—მივაძახე მიმავალს. მან პასუხი არ მომცა და, მივიდა რა კუთხეში დასვენებულ ღვთის-მშობლის ხატთან, სანთელი აუნთო, დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო. კარგა ხანს იყო აგრე დაჩოქილი და ხელ-აპყრობილი, შემდეგ წამოდგა და ნელის ნაბიჯით მოვიდა ჩემს საწოლთან. მისი სახე ახლა უფრო დამშვიდებული, ჩვეულებრივის ალერსით და გულკეთილობით, გაბრწყინვებული მეჩვენა.

— ღამე მშვიდობისა!—მითხრა მან თავისის ნარ-ნარის ხმით და, დაიხარა რა, მხურვალედ შუბლზედ მაკოცა, შემდეგ გვერდებზე საბანი შემომიკეცა და ჩვეულებრივზე მეტის მზრუნველობით დაატანა:

— კარგად დაიხურე, ცოტათი ცივა.

მე გაოცებით შევყურებდი ამ სულითა და ხორცით მშვენიერს არსებას და ვფიქრობდი:— რა საძაგელი, უმადური, გაფუჭებული უნდა იყოს კაცი, რომ ამ საუნჯის პატრონმა სხვაზედ დაიჭიროს თვალი?.. დიაღ, გარყვნილი გული მაქვს, თორემ როგორ დაუთმო ამ გულმა ადგილი სხვისადმი გრძნობა-ვნებას? მაგრამ რას ვამბობ! ეს ხომ ყოველივე სისულელეა, რაღაც უაზრო ბოდვა, ტყუილ-უბრალოდ თავის ტანჯვა-წამება: ქალი დავინახე და მომეწონა, დიდი საქმეა! განა ღირს ამაზე კაცმა თავი შეიწუხოს? ეგ ყოველივე ხვალვე გაქრება ისე, როგორც ქრება ხოლმე მზის პირველ სხივებზე მაისის დილის ნაზი ნისლი.

ვცდილობდი დამერწმუნებინა ჩემი თავი, რომ ვსცდებოდი ჩემ გრძნობათა შესახებ, ვაზვიადებდი მათს მნიშვნელობას, და დასამტკიცებლად ვადარებდი ერთმანეთს მაროსა და იმის ღირსებას და თითქო ნიშნს უგებს ვისმესო, გულში მიხაროდა, რომ მაროს რჩებოდა უპირატესობა... ბოლოს, ბევრის ფიქრისა და განსჯის შემდეგ, თითქო გულ-დამშვიდებულმა დავხუჭე თვალი და დასაძინებლად მოვემზადე, მაგრამ ვაი რომ გრძნობა გონებას არ ემორჩილებოდა: თვალებ-დახუჭული გულაღმა ვიწექ და მივშტერებოდი ბნელს სივრცეში ცოცხლად დახატულ თამროს სახეს. ვსცდილობდი როგორმე მომეშორებინა თავიდან ეს მომჯადოებელი ჩვენება, რომელიც ასეთის დაჟინებით მიღლევდა სულის სიმშვიდეს; მაგრამ რამდენსაც უფრო ვატანდი ძალას ჩემს გრძნობებს, რამდენსაც უფრო ვსცდილობდი დამევიწყებინა იგი, მით უფრო ნათლად მიდგებოდა თვალწინ იმისი შეუდარებელი ტანადობა, კეკლუცი მიხვრა მოხვრა, მაყვალივით თვალები, მომხიბლველი ღიმილი, ბროლივით თეთრი კბილები და ის პაწია შავი ხალი ფუნთუშა თეთრ-ყირმიზა ლოყაზედ... ახლა-კი აშკარად დავინახე, რომ ჩემი გულის სიღრმეში იბადებოდა და თან-და-თან იზრდებოდა რაღაც არა-ჩვეულებრივი რამ, და რომ ამასთან ის „რაღაც“ წინააღმდეგი იყო ჩემის გრძნობა-გონების წინანდელ ვითარებისა, ჩემის ჩვეულებრივ ცხოვრების გარემოების შემცვლელი და დამრღვევი, და ამიტომაც ცუდი და დასაგმობი, და მეც, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვებრძოდი ამ ახლად გაჩენილ და განახლებულ გრძნობას, მაგრამ უნაყოფოდ: ერთობ მაგრად ვიყავ გახლართული ძლიერის ვნების ბადეში და მახეში გაბმულ ჩიტივით საბრალოდ ვფთხრიალებდი.

დიმ. ერისთავი.

(შემდეგი იქნება)

დენდრის ფურცელზე აი რა ეწერა თურმე: „სოფლის მასწავლებელნი ნივთიერად ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ამ მდგომარეობიდგან თავის დახწევა ძნელი არ არის. საჭიროა უყველი მასწავლებელი მოიქცეს ისე, როგორც ერთი პედაგოგი იქცეოდა: პედაგოგი ჯდება სკამზედ შეგირდებზედ მოშორებით, შეგირდები-კი ესვრიან მას პირში ზაკუსკეულობას, რომელიც მასწავლებელმა პირით უნდა დაიჭიროს და კიდეც შეჭამოს; თუ ვერ დაიჭერს, მაშინ არ აქვს ნება შეჭმისა. ეს პედაგოგი როცა იჭერს „პიროჟკებს“, მაშინ არის კარგი საცქერალი: მგელივით სჭამს საჭმელს და ერბო და სიმსუქნე თქრიალით ჩამოსდის პირისახეზედ. მოსწავლეთ ეს უხარიანთ და მასწავლებელს ესვრიან ახალ-ახალ „პიროჟკებს“.

თებერვალს ოცდა რვა დღე რადა აქვს? ამ ამ საკითხის პასუხს გვაძლევს ერთი ინგლისური ლეგენდა: თებერვალი საშინელი მოთამაშე იყო ბანქოსი და ხშირად აგებდა ხოლმე. ერთხელ ძალიან ბევრე წააგო და რამდენიმე დღით თავი დაანება თამაშობას, მაგრამ დიდხანს ვერ მოითმინა და ერთხელ კიდევ სცადა თავისი იღბალი. ამ დღეს მოიწვია თავისი მეგობარნი: იანვარი და მარტი; დაიწყო თამაშობა; ამ დღეს იმდენი წააგო, რომ ფულიც-კი აღარ დარჩა, ვალი გადაეხადა, ამიტომ თითო დღე თითო თვეს მისცა. ამის გამო იანვარსა და მარტს 31 დღე აქვს,—თებერვალს-კი—28.

წ ე რ ი ლ ე ბ ი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ქვემორე აღნიშნულს ხონის საქალებო პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების 1902 წლის ანგარიშს.

საზოგადოება შესდგება საპატიო და ნამდვილის წევრებისაგან: 1 იანვარს 1902 წ. ირიცხებოდა 6 საპატიო და 36 ნამდვილი წევრი. განაახლეს საწევრო ფულის შემოტანა 20 ნამდვილმა წევრმა; შემოვიდა წლის განმავლობაში 16 ნამდვილი წევრი; ირიცხება 1 იმნვარს 1903 წ. 6 საპატიო და 36 ნამდვილი წევრი.

კასსის მდგომარეობა: შემოსავალი 1 იანვარს 1902 წ. იყო 216 მ. 56 კ. შემოვიდა საწევრო ფული 146 მ., წარმოდგენებიდგან 169 მ. 25 კ. ფულის სარგებელი 6 მ. 37 კ. სულ 538 მ. 18 კ.

გასავალი: მიეცა შემწეობა მოსწავლეებს 390 მ., საზოგადოების წესდების დაბეჭდვა 15 მ. ფოშტის და სხვა ხარჯი 4 მ. 56 კ. სულ 409 მ. 56 კ.

დარჩა 1902 წლიდან სულ 128 მ. 62 კ.

წარსულ საანგარიშო წელში გამგეობას ჰქონდა კრება ხუთჯერ. წლიური საზოგადო კრება წლის განმავლობაში შესდგა ერთხელ, 3 თებერვალს.

ამ 1903 წლის გამგეობა შესდგება: თავმჯდომარე ნ. ა. ლუკიანოვი, ამის ამხანაგი ე. ს. ქუთათელაძე, მდივანი, იგივე მოლარე ე. ლუკა ბახტაძის ასული, სხვა წევრები: ვ. ლეონიდე პოლონსკის ასული, მ. სამსონ ქუთათელაძის ასული, ტ. რ. ტაბუკაშვილი, ი. დ. ბახტაძე, ი. გ. ბალანჩივაძე და მ. პ. სანაძე. სარევიზიო კომისსია: თავმჯდომარე ს. დ. ბახტაძე, წევრები ბ. ნადარეიშვილი და ი. ქუთათელაძე.

საანგარიშო 1902 წლის განმავლობაში საზოგადოებამ აღმოუჩინა შემწეობა 21 ღარიბს მოსწავლეს, დახარჯა რა მათზედ სულ 390 მანეთი.

ამას გარდა, პროგიმნაზიაში იზრდება: ერთი ყმაწვილი, ბ-ნი ბახტაძე—ნიკოლოზ გიორგის ძის ჩიქოვანის ხარჯზედ, მისის დედის ფოტინე დავითის ასულის სახელობაზედ და მეორე,—მარიამ გრიგოლაშვილი,—ქრისტინე დავითის ასულის ბახტაძის სრულს ხარჯზედ, მისის შვილის ილია ხონელის სახელობაზედ.

პროგიმნაზიასაც ჰყავს აგრეთვე უფასოდ რამდენიმე ღარიბი მოსწავლე.

მიმდინარე წელი მეოთხეა, რაც საზოგადოება მოქმედობს,—იგი დაარსებულია 13 თებერვალს 1900 წელსა. სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ ამასთანავე ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს საზოგადოების წევრთა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა, განსაკუთრებით ხონელ ვაჭართა რიცხვმა. სარგებლობა ამ ზემო აღნიშნულ საზოგადოებისა ყველასათვის თვალ საჩინოა, განსაკუთრებით იმისთანა ადგილას, როგორიცა ხონია, სადაც ყოველს ღარიბს ოჯახს, თუ ცოტაოდენი შემწეობა ექნება, შეუძლიან თავისს კერაზედ და ლუკმა-პურით აღზარდოს თვისი შვილი, თორემ სად შეუძლიან საწყალს ადამიანს ქალაქში გზავნოს შვილები, სადაც სწავლის ფული თვითეულზედ 50—90 მან. უნდა წლიურად იხადოს და თვეშიც შესანახი 15—20 მანეთი აძლიოს!

ამისათვის ვისურვოთ, რომ ამ საზოგადოებას არ მოჰკლებოდეს კეთილ ადამიანთა ყურადღება და შემწეობა, რომ ამით ის მკვიდრს ნიადაგზედ დამყარებულიყოს.

ტ—ლი.

„ივერიის“ ფოსტა:

მ. პ—ლს. დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ იმ მასალას სკოლების შესახებ, რომელსაც გვპირდებით. თქვენი წერილი პეტერბურგის საქალაქო სკოლების შესახებ ამ დღეებში დაიბეჭდება.

დ ე პ ე შ ა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 მარტი.

ბელგრადი- მონასტირიდგან და უსკუბიდგან თანახმად იუწყებიან, რომ ბოლგართა ბრბოებმა დაადეს ზოგიერთ სოფლების მცხოვრებთ გადასახადი 2 ფრანკიდგან 100-მდე.

ბერლინი. ბელგრადიდგან „Kohlnische Zeitung“ს აუწყობენ, შესაძლებელია, რომ მინისტრთა კაბინეტი გამოიცვალოს ან რადიკალების გამოსვლით, ან მთელი კაბინეტი დაეთხოვება სამსახურს.

სტამბოლი- ინგლისის ძალდატანების გამო, მინისტრთა საბჭოს ჰქონდა მსჯელობა იმ მიწების განსაზღვრაზედ, რომელნიც ადენის იქით მდებარეობს, და გამოსთქვა აზრი ინგლისის მოთხოვნილების სასარგებლოდ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. რედმონდი ამბობს, მინდა შევიტყო, გამოუცხადა თუ არა რუსეთის მთავრობამ პორტას პროტესტი იმის გამო, რომ მაკედონიის ჟანდარმთა რაზმის ახალ წესზედ მოწყობისათვის პორტა იწვევს მხოლოდ გერმანიის ოფიცრებს და აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას განზრახვა, შეატყობინოს პორტას თავისი აზრი ამ საქმის შესახებ? კრანბორნმა უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობას კარგად ესმის უცხო ქვეყნელ ინსტრუქტორების სარგებლობა მაკედონიის ჟანდარმთა რაზმისათვის, იმ პირობით-კი, რომ ეს ინსტრუქტორები არც ერთს დიდს სახელმწიფოს არ ეკუთვნოდენ. რაც შეეხება რედმონდის მეორე საკითხს, კრანბორნის პასუხი უკუ თქმითი იყო.

ათინა. ოსმალეთის საგანგებო დესპანმა მიართვა მეფეს სულთანის საკუთარი წერილი, რომელშიაც ხონთქარი უცხადებს გულითადს თანაგრძნობას საბერძნეთის სამეფო სახლსა და ხალხს.

ათინა. ოსმალეთის საგანგებო საელჩომ გადასცა ხელმწიფეს აუდენციის დროს ბრილიანტებით შემკული „ნიშან-ივთიკარის“ ნიშნები. მემკვიდრე პრინცს გადაეცა „იმთიაზიის“ ორდენი და ოსმალეთის ხვანთქრისაგან გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქარი. ხელმწიფე და დედოფალი 15 მარტს კოპენჰაგენში გაემგზავრნენ.

სტამბოლი. გაზ. Kolnihche Zeitung“-ი იუწყება, რომ მაკედონიაში ჟანდარმთა რაზმის შედგენის დროს, პრინციპად იქნება მიღებული, იმ ქვეყნებში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა ქრისტიანებია, ჟანდარმებად სხვა ტომების კაცები და სხვა ჯურის ქრისტიანები იქნებიან მიღებულნი.

მადრიდი. გაზ. Herald“-ი იუწყება ტანჟერიდან, რომ ამბოხება მეტად გაძლიერდა და ხვანთქარს გაუჭირდება მისი ჩაქრობა. შესაძლებელია, რომ პრეტენდენტი ამას იქით განძრახვას გამოიცვლის და მტრებს-კი არ მოიგერიებს, არამედ თავად შეუტევს.

ვაშინგტონი. სენატმა დაამტკიცა 73 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ პანამის არხის შესახებ ხელშეკრულობა.

პეტერბურგი. დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინახულა სამი სკოლა საიმპერატორო ქალთა პატრიოტულ საზოგადოებისა, იმპერატორ ალექსანდრე II-ს სახელოსნო სკოლა და ვასილიევის მეორე სკოლა.

5 მარტს საზღვაო სამინისტროს გადაცვალებულის გამკეს ტირტოვის პანაშვიდს დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი ალექსი ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე და მრავალნი.

ლონდონი. „Daily Telegraph“ იუწყება, რომ, ამერიკის კონსულის ცნობით მონტევიდეოდგან, 8000 კაცი აჯანყდა მთავრობის წინააღმდეგ. მონტევიდეოს გარეშემო ამბოხება გაძლიერდა. ამერიკის ესკადრამ, რომელიც მონტევიდეოსთან დგას, მიიღო ბრძანება დაიცვას ამერიკის ინტერესები.

ბუენოს-აირეს. მონტევიდეოდგან გაიგზავნა ჯარები სხვა-და-სხვა ადგილებში, სადაც ამბოხებაა.

6 მარტს.

ბერლინი. ბელგრადიდგან გაზეთი Köhnisshe Zeitung“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ აქაური გაზეთების სიტყვით ვენის პროფესორი იაგიჩი სერბიის სამეცნიერო აკადემიის წევრთა რიცხვი დგან გამორიცხულ იქმნა, იმ სტატიის გამო, რომელიც მან მაკედონიის საკითხის შესახებ დასწერა. ამ სტატიამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია სერბიის წრეებში.

ვილნა. აქ მატარებლით გაიარა დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა; მატარებელი ლანდვაროვში გაჩერდა, სადაც ბედნიერება ჰქონდათ გენერალ გუბერნატორს თავ. სვიატოპოკ-მირსკის და გუბერნატორს გრაფ პოლენს დედოფალს წარსდგენოდნენ.

პეტერბურგი. „მთავრობის უწყებაში“ გამოცხადებულია: სამის თვით აიკრძალა ცალკე ნომრებად გაყიდვა გაზეთ „კიევის სიტყვისა“.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101¼ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . მამულო ბანკისა . . .	95¼ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	453½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348¾ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	303¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82⅞ წვ. გაყ
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	85½ გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	90¾ წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	490 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	199 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს, (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.
3) დავა იაკობ გვაზავასი და ანთიმოზ სალოქვაძისა.
4) დავა მარკოზ მურადოვისა და ნ. კახიძისა.
5) დავა ალექსანდრე არხიპოვისა და ბესარიონ ფხაკაძისა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 2 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავ საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებ შვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფ ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრი ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივ მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელ წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ. ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მი ცემა.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადო ბის მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
# ქ ა ჯ ა ნ ა
მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.
# ა ლ ი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებ თაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Обще тво распростр. грамотности.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ფე ლა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართუ წიგნი

„ჩვენს დედებს“
პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.
ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკ ლა, ალ. ნათაძეს.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
# ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტ ფ ი ლ ი ს შ ი
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. სა ყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთე ლობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხ წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სუ ნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხ ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—2)

მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ევროპიელთა და აქაურ შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.



გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა!
კომპანია
გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები. და აგრეთვე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა-და-სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველთ პირველ მოთხოვნილებისამებრ.

(7—4)

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამოსარჩევად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.